

დანიცა სელესკოვიჩი  
მარიან ლედერერი

**თარგმნის  
ხელშეწყობა  
და  
სწავლავის  
გათმუხი**

**Danica Selescovitch , Marianne Lederer**

**დანისა სელესკოვიჩი, მარინა ლედერერი**

**Interpréter pour traduire<sup>1</sup>**

**თარგმნის ხელოვნება  
და  
სწავლების მეთოდი**

**Paris - 1984**

**თბილისი - 2008**

---

<sup>1</sup> წიგნის სათაური შეცვლილ იქნა ავტორის ნებართვით.

**სარჩევი**

თარგმანი : ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

**ქეთევან ჯაში**

შესავალი . . . . . 9

**თავი I: რა არის თარგმანი . . . . . 15**

მ. ლედერერი: ტრანსკოდირება თუ აზრის ხელახალი გამოხატვა . . 15

მ. ლედერერი: იმპლიციტი და ექსპლიციტი . . . . . 42

დ. სელესკოვიჩი: გამოცდილებიდან კონცეპტამდე . . . . . 85

დ. სელესკოვიჩი: დისკურსის თარგმნა არ ნიშნავს ერთი  
ენის თარგმნას . . . . . 126

დ. სელესკოვიჩი: მნიშვნელობის თეორია და მთარგმნელი მანქანა ..141

დ. სელესკოვიჩი: თარგმნის დონეები . . . . . 151

მ. ლედერერი: სინქრონული თარგმანი . . . . . 166

IIთარგმანის წარმატებები, მისი მარცხის მიზეზები . . . . . 187

**თავი II: ზეპირი თარგმანის სწავლება . . . . . 202**

დ. სელესკოვიჩი: ზეპირი თარგმანის პრინციპები და მეთოდები . . 202

მ. ლედერერი: ზეპირი თარგმანის სწავლება . . . . . 221

მ. ლედერერი: სინქრონული თარგმანის სწავლების მეთოდიკა . . . 247

**თავი III: თარგმანი და მეტყველება . . . . . 304**

მ. ლედერერი: სინქრონული თარგმანი,  
მეტყველებაზე დაკვირვების პერიოდი . . . . . 304

დ. სელესკოვიჩი, მეტყველების მექანიზმები  
თარგმანის მეშვეობით . . . . . 318

დ. სელესკოვიჩი: მთარგმნელობითი საქმიანობა  
ინტერპრეტაციასა და ლინგვისტიკას შორის . . . . . 329

დ. სელესკოვიჩი: გარემოს განჭვრეტა . . . . . 340

მ. ლედერერი: ფრანგული ენა თარგმნის მსხვერპლი . . . . . 355

დ. სელესკოვიჩი: ნააზრევის გაკონტროლება თავისი  
გამონათქვამის მეშვეობით . . . . . 368

## Préface à la traduction en géorgien de *Interpréter pour traduire*

En tant que co-auteur, avec Danica Seleskovitch, fondatrice de la Théorie Interprétative de la Traduction, disparue en 2001, je me réjouis que cet ensemble d'articles qui posent la base de la théorie, sans cesse réédité depuis 1984, soit mis, grâce à Madame Ketevan Djachy, à la disposition des lecteurs géorgiens.

Les textes qu'on lira ici sont fondés sur la pratique de la traduction orale et écrite et sur l'enseignement de cette pratique, d'où sont issues des réflexions qui peu à peu se sont organisées en une théorie, simple mais utile à ceux qui la pratiquent.

Tous les professionnels, traducteurs comme interprètes, savent qu'il faut comprendre un texte avant de commencer à le traduire. Tous sont conscients du fait que la langue de départ doit être dissociée de la formulation d'arrivée, si l'on veut que le texte traduit soit non seulement lisible, mais encore rende le plus exactement possible le vouloir dire de l'auteur. Et tous savent aussi l'importance d'une bonne maîtrise de la langue dans laquelle ils traduisent. Ces trois temps de la traduction, orale comme écrite, sont théorisés et expliqués sous tous leurs aspects dans les divers articles qui sont rassemblés ici, avec des illustrations tirés toujours de la pratique ou de l'enseignement.

Je souhaite que la lecture de cet ouvrage confirme les traducteurs et interprètes dans leurs pratiques et apporte aux novices ainsi qu'aux étudiants qui se destinent à ces professions ou à la recherche matière à réflexion sur le processus de la traduction.

Marianne Lederer

მე გახლავართ დანიცა სელესკოვიჩთან ერთად წინამდებარე წიგნის თანაავტორი. დანიცა სელესკოვიჩმა საფუძველი ჩაუყარა თარგმნის ინტერპრეტაციულ თეორიას. იგი გარდაიცვალა 2001 წელს. მოხარული ვარ, რომ ეს სტატიების კრებული, რომელიც თეორიის საფუძველია, 1984 წლიდან მრავლჯერ იქნა გამოცემული, დღეს ქალბატონ ქეთევან ჯაშის წყალობით ხელწმისაწვდომი გახდება ქართველი მკითხველისათვის.

აქ წარმოდგენილი სტატიები ეფუძნება ზეპირი და წერიითი თარგმნის პრაქტიკას და ასევე ამ პრაქტიკის სწავლებას, რომელთა ჩამოყალიბება მოხდა თანდათანობით და გარდაიქმნა თეორიაში, რომელიც ძალზე მარტივია, მაგრამ სასარგებლო მათთვის ვინც მას იყენებს. პროფესიონალმა, იქნება ის მთარგმნელი თუ თარგმანი იცის, რომ სანამ რაიმე ტექსტის თარგმანს დაიწყებს, ის უნდა გაიგოს. ყველას გააზრებული აქვს ის ფაქტი, რომ ორიგინალის ენა უნდა განსხვავდებოდეს სათარგმნ ენაში არსებული ფორმულირებისაგან, იმისათვის, რომ ტექსტი არა მარტო გასაგები იყოს, არამედ ასევე რაც შეიძლება მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს ავტორის აზრი. ყველამ იცის ასევე, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ ენის ფლობას, რომელზეც უნდა შესრულდეს თარგმანი. ზეპირი თუ წერიითი თარგმნის ეს სამი მონაკვეთი, თეორიულად არის ჩამოყალიბებული და ახსნილი ყველა ასპექტში და თავმოყრილია ამ კრებულში მოცემულ სტატიებში, გამყარებულია პრაქტიკიდან და სწავლებიდან მოცემული მაგალითებით. ვისურვებდი, რომ ამ ნაშრომის კითხვამ განუმტკიცოს მთარგმნელებსა და თარგმინებს ის პრაქტიკული ცოდნა რაც მათ გააჩნიათ, ხოლო ახალბედებს, ისევე, როგორც სტუდენტებს, რომელთაც სურთ ამ პროფესიას დაეუფლონ მისცეს თარგმნის პროცესის გააზრების საგანი.

მარიან ლედერერი

ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა 1984 წელს. 1986 წელს იგი ხელახლა გამოიცა. დღეს, 20 წლის შემდეგ, მისი წარმატება დასტურდება ამ ახალი გამოცემით.

ინტერპრეტაცია თარგმნისას ნიშნავს მიხედვით იმას, რაც მოცემულია სიტყვების მიღმა და შემდეგ გამოხატო დევერბალიზებული<sup>2</sup> მნიშვნელობა. ინტერპრეტაციის თეორია, საფუძვლად უდევს ქვემოთყვანილ შრომებს, რომელშიც ის ხსნის თარგმნის პროცესს და მისი საშუალებით მეტყველების ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს.

ამიტომაც გასაკვირი არაა, თუკი ამ წიგნში არ ვისაუბრებთ თუ რა პოზიცია უკავიათ თარგმნის თეორიის მიმართ, რომელიც მიმართულია უფრო მანქანურ თარგმანზე, ვიდრე ადამიანის მიერ შესრულებულ თარგმანზე. ჩვენ შევეცადეთ შემოვფარგულიყავით მხოლოდ თარგმნის რეალობით და აგვეღწერა თარგმნის პროცესი ფაქტებზე დაყრდნობით და არ დაგვეწყო აბსტრაქტული იდეების გარშემო დავა. ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან 20 წლის შემდეგ, დავრწმუნდით, რომ რომ შეუძლებელია თარგმანის პროცესის შესახებ თეორიის შექმნა, თუკი არ გავითვალისწინებთ იმას რა წარმატებას მიაღწია მან პრაქტიკაში.

ამ წიგნში მოცემული ყველა სტატია შთაგონებულია იმ აზრით, რომ თარგმანი ყველა ენაში ერთი პირინციპით ხორციელდება ნებისმიერი ტიპის ტექსტის მიმართ. ეს გახლავთ ძირითადი არსი. ტექსტიდან არავერბალურ ნააზრევზე გადასვლა და ტექსტიდან სხვა ტექსტზე გადასვლა არ არის დამოკიდებული ენაზე. ერთ ენაზე კომუნიკაციის დროს განსხვავება არ არის აზრის გამოთქმასა და მეტყველების გაგებას შორის, მასზე დაკვირვება უფრო ადვილია. ხელახლა გამოხატონ უცხო ენაზე ის, თუ რისი თქმაც სურთ ერთ ენაზე, იგივე არაა მშობლიურ ენაზე წამიერად გაუღებელი გაბმული ტექსტის მიღებისას ანდა ხანგრძლივად დაწერილ ტექსტში დაფიქსირებული სიტყვების მიღებისას.

ამ წიგნში მოცემულია სხვა ნაშრომებიც, რასაც კვლავ წარუდგენთ საზოგადოებას. აქვეა მოცემული ბიბლიოგრაფია. პირველადი ვერსია ძირითადად უცვლელია ამ წიგნში.

დ. სელესკოვიჩი და მ. ლედერერი

<sup>2</sup> დევერბალიზაცია არის სტადია, რაც ახასიათებს თარგმნის პროცესს ტექსტის გაგებასა და მის სხვა ენაზე ხელახალი გამოხატვის პროცესს.

ტრადიციულად თარგმანი დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა კლასიკურ ენების შესწავლას, მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნისას და პირიქით შემდეგ თარგმნის პროცესი გახდა შედარებისა და ჩანაცვლების პროცესი, ამოსავალი ენის ყველა შემადგენელი კომპონენტით, წერის მანერით, გრამატიკული ნიშნით, ლექსებით, სინტაგმით, წინადადებითა და ფრაზით, რომელთა შესატყვისიც უნდა მოიძებნოს სათარგმნ ენაში. ასე განიხილებოდა “თარგმანი” უცხო ენაზე თარგმნის დაუფლების საკარჯიშოებით, ენობრივი სტრუქტურების შედარებით და ერთი მეორის ჩანაცვლებით.

ენების შესწავლა და მათი შედარება აუცილებელი საშუალებაა ენებს შორის სიტყვათა მნიშვნელობების შესატყვისების დასადგენად. ორენოვანი ლექსიკონები, შედარებითი გრამატიკის სახელმძღვანელოები ფაქტიურად თარგმანებს წარმოადგენს; იქ შეზღვებით ლექსემებისა და გრამატიკული მარკერების შესატყვისებს მნიშვნელობის თვალსაზრისით. ინგლისურში (E) **dam-კაშხალი**; (E) **he is reading**-ის კითხვის პროცესშია ან გერმანულში (D) **des Vaters-du père** - მამის, ა.შ. ენების შედარებითი კვლევა საშუალებას იძლევა გამოძვლინოთ მათი სემანტიკური შესაძლებლობა, სხვადასხვა მნიშვნელობები, რაც შეიძლება სიტყვამ ან ფრაზის სემანტმა მიიღოს, რომელთაგანაც ერთის აქტუალიზება ხდება სხვების საზიანოდ რომელიმე კონტექტში: ფრანგულში (F) **de** - იტალიურში (It) **da, j'arrive de Paris** - მე მოვდივარ პარიზიდან, მაგრამ (F) **de-(It) di, (un morceau de pain** - ერთი ნაჭერი პური); (E) **he may not come-il n'a pas la permission de venir**-მას უფლება არ აქვს, რომ მოვიდეს, და სხვა შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ის არ მოვიდეს. ასეთი აზრობრივი შესატყვისებით შეიძლება მყარი შესატყვისება მივიღოთ: (D) **sein Leben hängt am seide-sa vie ne tient qu'à un fil** - მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია; (E) **to bring coal to Newcastle - (D) Eulen nach Athen bringen**-ზღვისთვის წყლის შემატება ანუ ფუჭი საქმის კეთება, ა.შ. თუმცა ტრანსკოდირება თარგმნის შემადგენელი ნაწილია, იგი თარგმანი არ არის. ტრანსკოდირების განხორციელება ტექსტსა თუ დისკურსში მხოლოდ იმ ელემენტების, ტერმინებისა თუ გამოთქმების შეიძლება, რომელთა მნიშვნელობა რჩება უცვლელი, როგორც არ უნდა იყოს ისინი წარმოდგენილი, ენის დონეზე თუ

აქტუალიზებულ დისკურსში. ასეთ ტერმინებს გააჩნიათ მუდმივი აზრობრივი შესატყვისები, მაგალითად, ესენია: ციფრები, როდესაც ისინი რაოდენობას გამოხატავენ. **(F) cinq=(E) five**-ხუთი, საკუთარი სახელები **(E) London=(F) Londres**-ლონდონი, ან ტექნიკური სიტყვები. მთარგმნელმა უნდა შესძლოს იმის დაადგენა, რომ ინგლისური **gravity dam**, ფრანგულად ითარგმნება **un barrage poids-**გრავიტაციული ქაშხალი, ხოლო **waterproofing-**, რომლითაც ის სარგებლობს ფრანგულად იქნება **un revêtement du parement-**წყალგაუმტარი ზედაპირი, ასევე ეკონომიკის სფეროში **a balanced growth**, უნდა ითარგმნოს **une croissance diversifié** - პროპორციული ზრდა, ანდა ოპტიკაში, **absorption path length** ითარგმნება **épaisseur optique**-ოპტიკური სიძლიერე.

ტრანსკოდირების უნარის მქონე ელემენტები შეიძლება უამრავი იყოს, მაგრამ ტრანსკოდირება, რასაც ისინი უწოდებენ ყოველთვის პირდაპირ თარგმანს გულისხმობს, რათა ნათლად იყოს გამოხატული ტექსტი, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან ექსტრალინგვისტური ცოდნის წყალობით. ტექნიკური ტერმინების რიცხვი, რომელთა ტრანსკოდირებაც შესაძლებელია ენის საერთო ლექსიკური ფონდში, ძალზე მწირია. დიდ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ანდა ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზაში, დაახლოებით 10 000 სიტყვას აქვს შესატყვისი საერთო ტერმინების თვალსაზრისით იმათთვის, რომლებიც ერთი და იმავე ენაზე საუბრობენ. თანაც, დისკურსსა და ტექსტებში, ხშირად გამოყენებულ ტერმინებს უპირატესობა აქვთ ტექნიკურ ტერმინებთან შედარებით. როგორც არ უნდა იყოს მსჯელობის სპეცილიზაციის დონე, მხოლოდ რამდენიმე ათიოდე ტერმინის ტრანსკოდირებაა შესაძლებელი. მთლიანად ტექსტი, რომელიც არგუმენტების, ფაქტებისა და იდეების ერთობლიობაა უნდა იქნას ინტერპრეტირებული. ალბათ ტექნიკური და სამეცნიერო შინაარსის მქონე წინადადებების უგულვებელყოფა იქნებოდა თუკი ვიფიქრებდით, რომ საკმარისია ვიცოდეთ ტექნიკური ტერმინების აზრობრივი შესატყვისები, რომ ტექსტი სწორედ ვითარგმნოთ, რომ თითქოსდა ისინი ნაკლებ სირთულეს ქმნიან, ვიდრე ფილოსოფიური შინაარსის ტექსტები. ზოგჯერ მათში იმდენივე გრძნობაა ჩადებული რაც პოეტური შინაარსის ტექსტში და სადაც აზრის ექსპრესიული კვლავარმოქმნა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ტრანსკოდირების დროს სიზუსტის დაცვა.

ის აზრობრივი შესატყვისები, რომლებიც მყარდება ენებს შორის გამოიყენება ტექსტისა თუ დისკურსის განსხვავების საფუძველზე. ისინი შეიცავს იდეებს, რომლებიც წარმოჩინდებიან ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის ურთიერთშეკვების საფუძველზე, რომელიც არსებობს ავტორსა და მკითხველს შორის, რომლებიც დამოუკიდებლად ენებს არ გააჩნიათ. აზრების ხელახალი გამოსატყვისე არ ხდება, როგორც ენების თარგმნა ხდება. იმისათვის, რომ ტექსტს შევძინოთ ექვივალენტი, საჭიროა ინტერპრეტაციის განხორციელება, რომელიც აქცენტს აკეთებს წინადადების მიერ გამოხატულ იდეებზე და არა თვით წინადადებაზე.

ტრანსკოდირება გამოდგება აბსტრაქტულად ყველა ენობრივი ელემენტისათვის, რომელიც მხოლოდ ზუსტადაა მოცემული ტექსტებსა და დისკურსებში. ენობრივი შესატყვისის სრულად გამოყენება იწვევს მკითხველში თარგმანის უარყოფის პროცესს. თარგმანი, რომლის კითხვისას სწორედაა გადმოცემული ტექსტის შინაარსი სრულიად განსხვავებულია იმ თარგმანისაგან, რომელიც ენების ცოდნას ეფუძნება. ამგვარად გერმანულ ენაზე წარმოდგენილი მოხსენება, **ESIT**-ის მიერ ორგანიზებულ კოლოკვიუმზე: **“Darf mehrsprachige Kommunikation am Missverständnis über das Wesen der Übersetzung scheitern?”-L’échec de la communication est souvent dû à une méprise sur la nature de la traduction. Faut-il s’y résigner ?»**. თარგმნილ იქნა შემდეგნაირად: “კომუნიკაციის წარუმატებლობა ხშირად გამომდინარეობს თარგმანის ბუნების გაუგებრობით. უნდა შევეუოთ თუ არა ამას?”. ენების დონეზე **se résigner** და **dürfen** არაა ეკვივალენტური; **mehrsprachig (multilingue)**-მულტილინგუური, გამოხატავს გერმანულში ცნებას, რომელიც ფრანგულ თარგმანში რჩება იმპლიციტური, მაგრამ ის იგულისხმება, რადგანაც ყოველი კომუნიკაცია, რომელიც მოითხოვს თარგმანს დეფინიციით არის მრავალენოვანი. ეს თარგმანი უფრო მეტად კომუნიკაციის ავტორის აზრს გამოხატავს, ვიდრე სათარგმნი ენის ლოგიკას-ეს ორი ძირითადი ფაქტორია, რომელიც განასხვავებს თარგმანს სრული ტრანსკოდირებისაგან. ქვემოთ მოვიყვანოთ მაგალითი ეს გახლავთ ინგლისურიდან ფრანგულად ნათარგმნი ნაწყვეტი ენობრივი შესატყვისის დონეზე: **«Les plaintes au sujet du bruit des avions traduisent en réalité une protestation contre les bruits persistants qui assaillent constamment les tympans dans une société caractérisée par une haute densité de population urbaine et assistée par une grande**

**puissance mé canique»**.<sup>3</sup>—თვითმფრინავების ხმაურთან დაკავშირებით გამოთქმული ჩივილი სინამდვილეში გამოიხატება პროტესტით, რომელიც გაუმდებობით შემოქმედებს ურაცოფითად ყურის აპკზე იმ საზოგადოებაში, რომელიც ხასიათდება ურბანისტული მოსახლეობის მაღალი სიხშირით და რომელიც იყენებს დიდ მექანიკურ სიმძლავრეს».

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წერილობით შესრულებული თარგმანი საშუალო დონისაა, ყოველთვის ეს ხელს როდი უშლის, რომ დაინტერესებულმა მკითხველმა შეაჩეროს ყურადღება და მსჯელობით სიცხადე შემატოს თარგმანს. რისი გაკეთებაც შეუძლებელია ზეპირი თარგმანის შემთხვევაში. ის ვინც ზეპირ თარგმანს უსმენს-დისკურსის თარგმანს-არ შეუძლია შეჩერდეს სხვადასხვა ადგილას, ისე, რომ არ გაუწყდეს დისკურსის აზრი. თარგმანის მეთოდში დაშვებული შეცდომით წერილობით შესრულებულ თარგმანი ხდება ბუნდოვანი, ხოლო ზეპირი კი არაეფექტური.

ეს ალბათ წერილობითი ფორმით მოცემული ენით გააზრცივდა იდეა იმასთან დაკავშირებით, რომ თარგმანისას უნდა შევადართო ენობრივი სტრუქტურების სხვადასხვა დონეები და დაუდგინოთ მათ შორის შესატყვისი ფორმები. წერა საშუალებას იძლევა მოახდინოთ ენის დაშლა მის შემადგენელ ელემენტებად. ეს შეუძლებელია ზეპირმეტყველებაში, სადაც დისკურსი არ იძლევა გამოყოფთ ენა მეტყველების ჯაჭვიდან. დაწერილი ტექსტს მიყავს ის ვინც მას ანალიზს უკეთებს გარდაქმნას ცოცხალი აზრი გაქვავებულ სემანტიზმში და მას უბიძგებს განახორციელოს ტრანსკოდირება იმის ნაცვლად, რომ თარგმნოს ის, რისი თქმაც სურდა ავტორს. ზეპირი დისკურსი პირიქით, თავის წამიერი ხასიათის გამო მსმენელს უტოვებს სანაცვლოდ მხოლოდ კოგნიტიურ ელემენტებს და კარგი თარგმანი, რომელიც თანმიმდევრულ თარგმანს ახორციელებს ბუნებრივად ახერხებს დისკურსის «იდებების» გამოხატვას.

წინამდებარე წიგნის ავტორები საკუთარ თავს შეკითხვას უსვამენ იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც ზოგიერთი თარგმანის

არასრულყოფილებას ქება. ეს მიზეზები გამოვლენილ იქნა ტექსტებისა და დისკურსებისათვის განზოგადოების შედეგად, როდესაც ენებს შორის დადგინდა შესატყვისები და თარგმანიც ასე ხდებოდა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ამ მიზეზებმა უკუაგდეს «ენობრივი» თარგმანები და ისინი შეეცადნენ განესაზღვრათ ინტერპრეტაციული თარგმანების წარმატების ფაქტორები, თარგმანების, რომლებიც განხორციელებულ იქნა მთარგმნელებისა და თარგმანების მიერ.

ზეპირ თარგმანზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იქმადე, რომ გაგვესაზღვრა ტექსტებისა და დისკურსების თარგმნის პროცესი. თარგმანში ის როლი, რომელიც მე უნდა შევასრულო, ესაა თემის ცოდნა, ავტორისეული განზრახვის გაგება. ამის კონსტატაციით დაუდგინეთ, შემდეგ კი გამოვაშკარავეთ ის, რომ არსებობს ერთ ენაზე დისკურსის აღქმა და სხვა ენაზე მისი ხელახალი წარმოთქმა, ანუ არსებობს დევერბალიზაციის ეტაპი. ამ ეტაპის განმავლობაში ხდება არსებული მგრძობელობითი და კოგნიტიური ელემენტების უშუალო სინთეზი. მაგნიტოფონის გაჩენამ და მაგნიტური ლენტების არსებობამ საშუალება მოგვცა დეტალურად გაგვეანალიზებინა თანმიმდევრული და სინქრონული თარგმანები. ჩვენ გავამრავლეთ ცდები და დაკვირვები და შეუდექით თარგმანის პროცესის ზუსტ კვლევას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ენათა შედარებას. ინტერპრეტაციაში ჩვენ ვხედავთ საბაზისო მოდელს, ელემენტარულ ფორმას, ტექსტების ყველანაირ თარგმანს, რადგანაც არ არსებობს ტექსტი შეტყობინების(გზავნილის), ავტორის, წინასწარი ვარაუდისა და კოგნიტიური ელემენტების გარეშე, რომლებიც შეიძლება არ იყოს ექსპლიციტური, მაგრამ უნდა იყოს გათვალისწინებული.

მთარგმნელები და თარგმანები ერთი და იმავე მიზანს ემსახურებიან, რაც გულისხმობს სხვისი აზრის გადმოცემას. მათი თარგმანი არ ემყარება სხვადასხვა ხერხებს, ერთი მხრივ ტრანსკოდირებას, მეორე მხრივ სხვისი აზრების გადმოცემას. ყველაზე მექანიკური თარგმანიც კი შეიცავს ინტერპრეტაციის რაღაც ნაწილს. ყველაზე თავისუფალი ინტერპრეტაცია კი შეიცავს ყოველთვის ტრანსკოდირების რაღაც ნაწილს.

**ESIT**-ში<sup>4</sup>მეუშავებული თარგმნის კონცეფცია არის პრაქტიკოსთა დაკვირვების შედეგი, რომელიც ემყარება საკუთარ გამოცდილებას.

<sup>4</sup> ESIT-École Supérieure d'Interprètes et de Traducteurs - პარიზის მთარგმნელ-თარგმანთა უმაღლესი სკოლა

<sup>3</sup> ეს გახლავთ ნაწევები ალან ს. ბოიდის გამოსვლიდან, რომელიც იყო აშშ-ს გადაზიდვების სამმართველოს ყოფილი მდივანი, რომლის სახელწოდებაა : სამოქალაქო ავიაციის ზეგაულებიანი ზოგადი ასპექტები, რომლის ორიგინალი ასე გამოიყურება : « Complaints about aircraft noise really reflect an outcry against the pervasive sounds that constantly assail eardrums in a society characterized by high density urban population supported by mechanical power ».

თარგმნის პროცესის ახსნა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ სწავლების მეთოდები, რომელსაც ვასწავლით **ESIT**-ის სკოლაში, რის გამოც ჩვენ კურსდამთავრებულებს, სათანადო აღიარება აქვთ საერთაშორისო თვალსაზრისით.

ფრანგული ენა თანდათანობით კარგავს თავის საყოველთაო ენის სტატუსს. პროფესიონალები მოღვაწეობენ მის გადსარჩენად სხვადასხვა ქვეყნებში. ფრანგულს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა გაბატონებული მდგომარეობა და ნაკლებად აღეგულებდა თარგმანის პრობლემას. დღეს ფრანგული ენის დაცვა ნიშნავს ასევე წარმოადგინოთ სანდო ქსელი აზრის გამოხატვის თვალსაზრისით, წერითი და ზეპირი თარგმანების სახით.

ეს კრებული, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ დღეს აერთიანებს სტატიებსა და ინფორმაციებს, რომლებიც დაბეჭდილ იქნა უამრავ ჟურნალში, საფრანგეთსა და უცხოეთში და რომელთაგან ზოგიერთის მარაგი ამოწურულია. ეს გახლავთ პირველი ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდა სერიით მთარგმნელობითი საქმიანობა და მასვე მიეძღვნა.

ამას ისიც ემატება რომ სამი ნაშრომი დაიბეჭდა გამომცემლობაში **Minard**, სერიით «**Champollion**». ვფიქრობთ, რომ იგი სარგებლობას მოუტანს მთარგმნელობითი სკოლების სტუდენტებს, რომელთა რიცხვიც ყოველდღიურად იზრდება, ასევე მათ პედაგოგებს და აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს თარგმანი და მეტყველების გამოყენება.

დ. სელესკოვიჩი  
მ. ლედერერი

1983 წლის აპრილი

## თავი I. რა არის თარგმანი?

### ტრანსკოდირება თუ აზრის ხელახალი გამოხატვა?

**-Nous partons sur la route la semaine prochaine et les clients sont venus voir sur place avant de voir les collections chez eux.**

**-C'est une épreuve redoutable que de présenter, tout nu, son enfant au public.**

შეიძლება თუ არა ამ წინადადებების თარგმანა? თუ ფიქრობენ, რომ თარგმანა ნიშნავს ტრანსკოდირებას, ანუ ერთი ენიდან მეორეზე გადასვლას. ერთი ენის ნიშნების გადაყვანას მეორე ენის ნიშნებზე. პასუხი დადებითია. მაგრამ ეს მისაღები იქნება მხოლოდ უცოდინრებისათვის. თუ მიაჩნიათ, რომ თარგმანა არაა მხოლოდ ერთი ნიშნების გადაყვანა სხვა ნიშნებში, რომ საჭიროა, წინასწარ, ამ ნიშნების შესაბამისი მნიშვნელობის ცოდნა, რათა მოვქმენოთ შინაარსობრივი შესატყვისი სხვა ენაზე, პასუხი უარყოფითი იქნება, რადგან შეიძლება ითქვას, რომ ეს წინადადებები ბუნდოვანია და სანამ მათ ვთარგმნით, საჭიროა გამოვრიცხოთ პოლისემია, წინადადებების ორაზროვნება. ასეთი იქნება ზოგიერთი ლინგვისტის პასუხი. რაც შეეხება მთარგმნელს, მისი პასუხი იქნება: შევითხვა ცუდადაა დასმული, შეუძლებელია პასუხი გავცეთ მანამ, სანამ სხვა კითხვას არ დავსვამთ. არის თუ არა ზემომოყვანილი წინადადებები გასაგები? რადგან მისთვის, შეუძლებელია რაიმეს თარგმანა, სანამ ენობრივი ნიშნები ერთად არ იქნებიან რაღაც ინფორმაციის მატარებელი. მაშინ ისინი კარგავენ ორაზროვნებას, გადმოსცემენ აზრს. რა არის ეს ზემომოყვანილი ორი წინადადება?

**-Nous partons sur la route la semaine prochaine et les clients sont venus voir sur place avant de voir les collections chez eux.**

ერთი შეხედვით ამ წინადადებას, არც თავი აქვს და არც ბოლო, თუმცა თავისუფლად შესაძლებელია იგი გასაგები იყოს, როდესაც მას ფრანგი მრეწველი (ტანსაცმლის) წარმოთქვამს, რომელიც მოხსენებას აკეთებს შხა ტანსაცმლის გამოფენაზე. რისი თქმა სურს? შხა ტანსაცმლის მწარმოებლები გამოფენენ თავიანთ კოლექციას გამოფენაზე, სადაც საცალო პროდუქციით მოვაჭრეებს შეეძლებათ მისვლა, შედარება, შეექმნებათ წარმოდგენა მომავალი მოდის შესახებ,

რის შემდეგაც მრეწველები ეწვევიან მაღაზიებს, წარუდგენენ თავიანთ მოდელებს საცალო ნაწარმით მოვაჭრეებს, რომლებიც გააკეთებენ არჩევანს. მრეწველი ამბობს, რომ გამოფენის დახურვის შემდეგ ის გაემგზავრება პროვინციაში და გაითვალისწინებს იმ ინტერესს, რომელიც გამოხატეს პოტენციურმა მყიდველებმა. გარკვეულ სიტუაციაში ეს წინადადება სავსებით ნათელია, მხოლოდ ჩემ მეზობელს(ვინც მასთან ერთად თარგმნიდა) ყურადღება მოაქცევინე წინადადების სტრუქტურაზე, რომელიც მოიკოჭლებდა. მან ვერც კი შენიშნა ის.

**-C'est une épreuve redoutable que de présenter, tout nu, son enfant au public.** ის ვინც ფიქრობს მხოლოდ თარგმანზე, მოხსნის ორაზროვნებას და იტყვის:»პრობლემა იმაშია, რომ უნდა იცოდე რას ეკუთვნის სიტყვები **tout nu**, რადგანაც წინადადებაში არაფერი მეტყველებს ამაზე. ბავშვი თუ წამყვანია თანახმა, რომ ეს გააკეთოს». რა თქმა უნდა, ენის თვალსაზრისით, იზოლირებული ფრაზის დონეზე, რომელიც სინტაქსურ სტრუქტურას წარმოადგენს და არა შეტყობინებას (იდეას, შინაარსს), სიტყვები პოლისემანტურია და წინადადებები ორაზროვანი, მაგრამ თუკი ენა მასში პრობლემას ხედავს თარგმნის თვალსაზრისით, ეს იმიტომ რომ იგი თარგმანს განიხილავს ენის დონეზე. მთარგმნელი კი ადგენს, რომ ის ენას კი არ თარგმნის, არამედ ყოველთვის თარგმნის შინაარსს, იდეას(იქნება ეს პოემა, რომანი, სახელმძღვანელო, რაიმე დანადგარის ინსტრუქცია, სამეცნიერო მოხსენება თუ პატენტი) და როდესაც ის ხვდება იმას, რაც უნდა თარგმნოს, მას არ უჩნდება არც ორაზროვნების და არც პოლისემიის პრობლემები. მოვიყვანოთ მაგალითად ნაწყვეტი გაზეთ **Le Monde**-ის 1973 წლის 1 აგვისტოს ნომრის სტატიიდან სადაც მოცემულია ეს წინადადება. მისი ავტორია მ. მაზოიერი. სტატიის სათაურია: **Nécessité d'un discours intelligible** (გასაგები დისკურსის აუცილებლობა): **«Les résultats de la recherche ne peuvent être socialement utilisés que dans la mesure où ils sont extraits de leur gangue théorique, méthodologique, ou empirique. Pour le corps social dans son ensemble, une recherche ne présente d'intérêt que si les phénomènes, les situations, les transformations économiques et sociales étudiées, sont mis en lumière par un discours scientifique intelligible... tout cela exige de la part des chercheurs une grande maturité. C'est une épreuve redoutable que de présenter, tout nu, son enfant au public»** -კვლევის შედეგები შეიძლება სოციალურად

იქნას გამოყენებული მხოლოდ იმის მიხედვით თუ საიდანაა ამოღებული, თეორიული, მეთოდოლოგიური თუ ემპირიული სფეროდან. საზოგადოებისათვის მთლიანობაში, კვლევა მხოლოდ მაშინ იქნება საინტერესო თუკი მოვლენები, სიტუაციები, შესწავლილი ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციები ნათელს მოჰფენს გასაგებ სამეცნიერო დისკურსს...ყოველივე ზემოთქმული მოითხოვს მკველევარისაგან დიდ გამოცდილებას. ნამდვილად სარისკოა გაშიშვლებულად წარუდგინო საკუთარი პირშმო საზოგადოებას. ამ ნაწყვეტის წაკითხვის შემდეგ, არაა აუცილებელი დაისვას კითხვა რას უკავშირდება სიტყვები **tout nu**, რადგანაც წინადადება, როგორც კი ხვდება მეტყველებაში, კარგავს ყოველგვარ ორაზროვნებას.

## მეტყველება

რა არის მეტყველება, სადაც ენისგან განსხვავებით ჩნდება მნიშვნელობა? რომელია ის ახალი ელემენტი, რომლის წყალობით, წინადადებები (რომლებიც მაგალითებად მოვიყვანეთ) ენის შეუცვლელად, ხდება გასაგები? ეს ის ელემენტი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს იზოლირებულ ფრაზებს. პირველი ზემოხსენებული წინადადება იმ სიტუაციაში ჩავსვით, რომელშიც ის იქნა წარმოთქმული და მეორე წინადადება იმ ტექსტში, რომლიდანაც იგი იქნა ამოღებული. ამან ამ წინადადებებს დაუბრუნა მნიშვნელობა, რომლებიც დაეკარგათ იზოლირებულ მდგომარეობაში.

ისევე როგორც იზოლირებულად აღებულ სიტყვებს აქვთ მხოლოდ მნიშვნელობები, კონტექსტს მოწვევტილ ფრაზებსაც შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობები. თუ ავიღებთ სხვადასხვა სიტყვებს ენაში და განვიხილავთ მათ ერთმანეთის მიყოლებით, შესაძლებელი გახდება თითოეულისათვის განვსაზღვროთ მნიშვნელობათა გარკვეული რაოდენობა. პოლისემია სიტყვებისათვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი ვიდრე ცალკეული საგნების ან ერთეული ცნებებისათვის, რომლებიც შეიცავს ყველა მნიშვნელობის ერთობლიობას. შეიძლება სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებით კიდევ გაერთოთ და თქვათ, რომ მათ მნიშვნელობა გააჩნიათ. მაგალითად: **«Il a un cousin au front»**, **«Il a un moustique sur la façade»**. მას ბიძაშვილი აქვს შუბლზე. მას მწერი აზის ფასადზე.

არის თუ არა ეს შესაძლებელი? რატომაც არა, რადგანაც ეს არაფრის მთქმელია. პოლისემია ან ორაზროვნება ახასიათებს კონტექსტს გარეთ მყოფი სიტყვების ერთობლიობას. იგი იმ წუთასვე ქრება როგორც კი ფრაზა ჩასმულია მთლიანად დისკურსში. მხოლოდ კომუნიკაცია რომელიც ქმნის მეტყველებას, ათავისუფლებს სიტყვებს პოლისემიისაგან, ფრაზებს კი მათი ორაზროვნებისაგან და მათ ანიჭებს მნიშვნელობას.

ჩვენ მნიშვნელობას ვუწოდებთ არა იმას, რასაც ამ სიტყვით გამოხატავს სემანტიკური ან ლექსიკოგრაფიული კვლევები, რომლებიც განსაზღვრავენ სიტყვათა კონცეპტუალურ კონტურებს ან გრამატიკულ სტრუქტურებს. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ «ენობრივ მნიშვნელობას», რომელიც შეესაბამება სიტყვათა იმ აზრს, რომელსაც ის იღებს მეტყველებაში. მეტყველების არსი, რომელიც გადმოსცემს ინფორმაციას, იდეას, არაა მოცემული ფარულად თითოეულ სიტყვაში, თითოეულ წინადადებაში. წინადადების აზრი ეყრდნობა ენობრივ მნიშვნელობას, მაგრამ ამით ის არ შემოიფარგლება. მთლიანად ტექსტი კითხვის დროს შეძლებისდაგვარად, გვაძლევს საშუალებას გავიგოთ ავტორის მიერ გადმოცემული აზრი. სანამ ტექსტის ვერბალიზაცია მოხდება, იგი ბუნდოვანია, იმისდა მიხედვით თუ რა ფორმას ღებულობს ავტორის ნააზრევი. ის იხვეწება წერასთან ერთად. თითოეული წინადადება ინფორმაციას აკებს წინა ფრაზებზე დაყრდნობით და წარმოქმნის ინფორმაციის გაგრძელებას. სიტყვები, მნიშვნელობათა ერთობლიობით, რომლებიც ენის პლანში აქვთ, მეტყველებაში მხოლოდ ნაწილობრივ რეალიზდება, მაგრამ საკომპენსაციოდ აქვთ მნიშვნელობა, რაც მათ აძლევს ადრე თქმული სიტყვების გახსენების საშუალებას. დაუბრუნდეთ ჩვენს წინადადებას: **“C’est une épreuve redoutable que de presenter, tout nu son enfant au public”**, კონტექსტში თითოეული სიტყვა ივსება იმ ინფორმაციით, რომელიც მანამდე წარმოქმნილმა სიტყვებმა გადმოსცეს. ამგვარად სიტყვა **“enfant”**-ბავშვი, რომელიც ახდენს სემანტიკური მნიშვნელობის მხოლოდ ნაწილის რეალიზებას, რაც მას ენის დონეზე აქვს(ამ წინადადებაში იგი ახდენს მნიშვნელობის **“produit de l’homme”** აქტუალიზებას) მას ახლავს ყველაფერი რაც მოაქვთ სიტყვებს, რომლებიც მას წინ უსწრებს და კერძოდ **“résultats de la recherche”**. ასევე **“tout nu”** ნიშნავს ჩაუცმელს, შიშველს ენის დონეზე, მაგრამ კონტექსტში **“extraits de leur gangue théorique,**

**méthodologique ou empirique”** ხოლო მეტყველების დონეზე ის ღებულობს მნიშვნელობას **“intelligible”**-გასაგები.

უხეში შეცდომა იქნება, თუ თარგმანზე საუბრის დროს ერთმანეთში ავურევთ ენასა და მეტყველებას. ენის დონეზე არ არსებობს არანაირი შესატყვისი სიტყვებს **«enfant»** და **«résultats de la recherche»** შორის. ეს მნიშვნელობა ჩნდება მეტყველების პლანში. ეს დროებითი მნიშვნელობა, ისეთივე წამიერი, როგორც ვერბალური კომბინაცია, რომლისაგანაც ის წარმოიქმნა მეტყველებას განეკუთვნება და იგი განსხვავდება ენისაგან ფუნქციურად. ენა სიტყვებს ანიჭებს მნიშვნელობას, მაგრამ მეტყველება მას ამდიდრებს ცნებებით, რომლებიც წარმოუდგენელია მხოლოდ ლექსიკოლოგიურ პლანში. ამგვარად, ეს ცნებები ქმნიან აზრს, რომლითაც გასაგები უნდა გახდეს მთარგმნელის მიერ შესრულებული ნაშრომი ისეთივე სახით, როგორც ამას გებულობს ის, ვინც მას ორიგინალში კითხულობს. აქედან ჩანს, რომ აზრი, სტატიკური არაა, როდესაც გადმოცემულია ობიექტურად, მუდმივ განვითარებაში მყოფ პროცესს წარმოადგენს, რომელიც იკვება მთელი დისკურსის განმავლობაში.

## აზრი თარგმნის კვლევის ობიექტი

აზრის გადმოცემა, იქნება ეს ბანალური თუ რთული, რომელიც ენის საბოლოო დანიშნულებას წარმოადგენს, ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარების ძირითადი ელემენტია, არის აგრეთვე თარგმნის კვლევის ობიექტი. შეიძლება გვეფიქრა, რომ თარგმანი ალბათ არის ვარჯიში ორ ენასთან მიმართებაში, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მოვძებნოთ ერთ ენაში სიტყვები და გრამატიკული სტრუქტურები, რომლებიც შეესაბამება მეორე ენაში არსებულ სიტყვებსა და გრამატიკულ სტრუქტურებს. მანქანურ თარგმანზე შესრულებული კვლევები მიყვებათ ენათა წყვილების შესწავლამდე, რასაც უწოდებენ კონტრასტულ (შეპირისპირებით) გრამატიკას. ამ კვლევების ნაწილობრივი მარცხი, ალბათ გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მანქანური თარგმანი არ ხორციელდება ადამიანის მიერ გამოყენებული ეფექტური მეთოდით, რომელიც კი არ გარდაქმნის კოდს სხვა კოდში, არამედ აღიქვამს და ხელახლა გამოხატავს აზრს. თუ კვლევებს წარვმართავთ ადამიანზე

და იმ ხერხზე დაკვირვებით, რომლითაც ის ახორცილებს თარგმანს, არაერთი მნიშვნელობა არა აქვს ენათა წყვილებს თარგმნის თეორიის თვალსაზრისით, მაშინ როდესაც აზრის გადმოცემა თარგმნისას უშუალოდ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თარგმნის აუცილებლობა უშუალოდ გამომდინარეობს კომუნიკაციის აუცილებლობიდან და ეს უკანასკნელი ერთი ენის შიგნით კი არ არსებობს, არამედ როდესაც კომუნიკაცია ხდება შუამავლის მეშვეობით, როდესაც ორ ენას შორის მთარგმნელის შუამავლობა აუცილებელია. განა კანონიერი არაა ვიფიქროთ, რომ კომუნიკაციის პროცესი ისე, როგორც ხორციელდება ერთი ენის შიგნით, იგივეა როგორც ის, რომელიც აკავშირებს მთარგმნელს თავის ტექსტთან (ორიგინალთან), შემდეგ მის თარგმანს მკითხველთან, რომ თარგმნის დროს აქცენტი კეთდება უფრო მეტად გაგებასა და აზრის გამოხატვის პროცესზე, ვიდრე ენათა შედარებაზე. ზრდასრული ადამიანისათვის, აზრის გამოხატვა და გაგება მეტყველების სფეროს განეკუთვნება. ეს არ არის ენაში შინაარსის არ მქონე ნაწყვეტების ფრაზებად გარდაქმნის პროცესი. არასდროს საუბრობენ რაიმე მიზნის გარეშე, ინფორმაციის გადმოცემის გარეშე. ასევე შეუძლებელია გაიგონო ან წაიკითხო რაიმე თუ არ გესმის, ანუ ინტერპრეტაციის გარეშე. მთარგმნელმა, რომელიც ზოგჯერ მკვითხველია, ზოგჯერ მწერალი, რომ გაიგოს ან გაგვაგებინოს საწყისი აზრი, იცის, რომ ის ერთ ენას კი არ თარგმნის სხვა ენაზე, არამედ ის ხდება ნათქვამს და მას გადმოსცემს თავის მხრივ ისეთნაირად, რომ სხვისთვისაც გასაგები იყოს. სწორედ თარგმნის ინტერესშია მოახდინოს ასეთი შერწყმა, როდესაც მწერლის თქმის სურვილი ერწყმის მკითხველის მიერ გაგების სურვილს.

კომუნიკაციაში აზრი გამოიყოფა სიტყვათა და ფრაზების ჯაჭვიდან, ერთი მეორეს ავსებს, მაგრამ ასევე აქვს თავისი მნიშვნელობა. აზრის აგება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს საუბარი. თუკი უეცრად შევაჩერებთ მეტყველებას, რათა მისგან გამოვყოთ ნებისმიერი სუბსტანტა, შესაძლებელია გამოვყოთ ერთი ნაწყვეტი და გავანალიზოთ შესწორებული ნაწილი, მაგრამ შეუძლებელი იქნება გამოვითანოთ იმავდროულად აზრი, რომელიც გაითქვიფება მთლიანად ტექსტში.

## სიუჟეტის ცოდნა, ენის ცოდნა

თუ თარგმნა არაა ტრანსკოდირება, არამედ გაგებაა და აზრის გამოხატვა, და თუ რასაც ვგებულობთ და გამოხატავთ არის აზრი, საჭიროა, რომ შევჩერდეთ ამ ძირეულ ცნებაზე, რაც თარგმნის კვლევის ობიექტია და უნდა დავაზუსტოთ თუ რას ნიშნავს აზრის ცნება. ავიღოთ ასეთი წინადადება: **“On nomme substitution une application de l'ensemble E sur lui-même, c'est-à-dire la transformation d'une permutation de ses quatre éléments en une autre permutation”**. გასაგებია, რომ თუ მათემატიკა არ ვიცო, მე ვერ მივხვდები ამ ფრაზას, ანუ ვერ გავიგებ მის აზრს. რისი თქმა შემიძლია, მისი წაკითხვისა და გადაკითხვის შემდეგ? შეიძლება ვიფიქრო, რომ საქმე ეხება მათემატიკას, გამოყენებული სიტყვები ამაზე მიუთითებს; მეორე მხრივ წინადადების სინტაქსი მიმახვედრებს, რომ ეს **l'ensemble**, შედგება 4 ელემენტისაგან. ჩემი გრამატიკისა და გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა არ მაძლევს საშუალებას უფრო შორს წავიდე. მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ამ წინადადების გასაგებად ალბათ გამოიყენებს მისთვის ცნობილ ტექნიკურ ცნებებს, რომლის წარმოდგენაც ჩემთვის შეუძლებელია.

პირველი შთაბეჭდილება იმაში მდომარეობს, რომ ტექნიკური მნიშვნელობების არ ცოდნამ შეიძლება ხელი შეუშალოს ფრაზის გაგებას. ფაქტობრივად ეს უცოდინარობა ერწყმის მის მეორე ტიპს, ესაა თემატიკის არ ცოდნა.

თემატიკის ცოდნა, ენის ცოდნა, ჩვენ ვიხილავთ ცოდნის ერთ-ერთ ასპექტს, რომელიც უფრო მეტად მნიშვნელოვანია ცნების დონეზე, ვიდრე თვით აზრის დონეზე. ენა საგნებისა და ცნებების გამოხატვის საშუალებაა. როდესაც ბავშვი ლაპარაკის სწავლას იწყებს, პირველ მნიშვნელობას, რომელსაც უკავშირებს სიტყვებს არის პირველი აბსტრაქტული ცოდნა, რომელსაც იძენს საგნებიდან. რამდენადაც საგნებისა და ცნებების ცოდნა მთლიანად ემთხვევა სიტყვების მნიშვნელობას, მისი ცოდნა რჩება შეზღუდული. მაგრამ რაც უფრო ბავშვი მეტს კითხულობს, მით უფრო მეტად აღიქვამს საგნებს, მნიშვნელობა, რომელსაც ის ანიჭებს საგნებს უფრო მეტად მდიდრდება იმ მნიშვნელობასთან მიმართებაში, რომელსაც ის ასოცირებას უკეთებს მისი სახელების საწყისს ეტაპზე. ამგვარად მას უნარი აქვს სიტყვები გამოხატოს აუცილებლობის მიხედვით, ერთი სიტყვით ან მოყვეს მთელი წიგნით.

თუ ენობრივ ცოდნას განვსაზღვრავთ, როგორც ვერბალური მნიშვნელობების ზუსტ გაგებას, და ზოგად ცოდნას, როგორც პერიფრაზირებასა და ინტერპრეტაციას, რისი გაკეთებაც იქნებოდა შესაძლებელი მოცემული ცნებისათვის, დავინახავთ, რომ არ არსებობს კავშირი ენობრივ ცოდნასა და ზოგად ცოდნას შორის და რომ თუკი მოვახდენთ საგნების დაყოფას, ენა გვაძლევს მხოლოდ ცოდნის საწყისს. მართალია, თუკი ენის შესწავლას უფრო გავადრმავებთ, ეს პროცესი ერგვაროვანი როლი იქნება. ზოგიერთ სფეროში ჩვენი ცოდნა უფრო ღრმაა იქნება, ზოგიერთში კი ნაკლები, რითაც შეიძლება ავხსნათ ის კონსტატაცია, რასაც თარგმნის დროს აკეთებენ, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ ენა იცოდეთ, რომ გაიგო რას ამბობენ და ამავე დროს ის თარგმნო. სინამდვილეში, ენობრივი გამონათქვამის გაგების პროცესი ეფუძნება ორი სახის ცოდნას. ესაა რელევანტური ცოდნა, რომელსაც გამონათქვამი გადმოსცემს და ენის ცოდნა. მნიშვნელობის აღქმა დამოკიდებულია ამ ორი სახის ცოდნის ზუსტ შესაბამისობაზე, იმ სიახლესთან მიმართებაში რაც ენას მოაქვს.

ამგვარად წინადადება: **«on nomme substitution une application de l'ensemble E sur lui-même ;** ანუ მისი ოთხი ელემენტის ტრანსფორმაციის ურთიერთჩანაცვლება სხვა ურთიერთ-ჩანაცვლებაში», საშუალებას გვაძლევს ჩავწოდეთ იმ ურთიერთობას რას არსებობს ენასა და ზოგად ცოდნას შორის: პირველი როგორც ყოველთვის კომუნიკაციის დროს ცნობილია, მეორე კი მოცემულ შემთხვევაში არ არის.

ზემომოყვანილ მაგალითში არამათემატიკოს მკითხველს სრულიად აქვს შეგნებული, რომ იცის ენა, მაგრამ მისთვის უცნობია თემატიკა. უმეტეს შემთხვევაში ასეთი განსხვავება არ ჩანს ასე აშკარად და შესაძლებელია გაჩნდეს იმის ტენდენცია, რომ აღრეულ იქნას ენობრივი ცოდნა და ზოგადი ცოდნა, რომ ენა თვითონ არ იძლევა საშუალებას გამოვყოთ აზრი, რომ ვიშველიებთ მუდამ ექსტრალინგვისტურ ცოდნას, რათა გავიგოთ ენობრივი გამონათქვამი.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ გვესმის ამ ახალი ამბავის მნიშვნელობა: **«Du plutonium 239 d'être découvert à l'état naturel»**, მაშინ როცა არ ვიცით, რომ ტრანსურანის ელემენტი არსებობდა მხოლოდ ბირთვულ ფიზიკაში, როგორც ადამიანის მოქმედების პროდუქტი ან ქვეპროდუქტი, ამის გაგება მხოლოდ არასრულად იქნება შესაძლებელი. ყველა ექსტრალინგვისტური ცოდნა, რაც გავაჩნია გამოიყენება იმისათვის, რომ მოვახდინოთ წინადადებებში

წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობის ინტერპრეტაცია, რათა მისგან გამოვიტანოთ აზრი. რაც უფრო ცოდნა ფართოა, მით უფრო გამონათქვამის აზრი ზუსტ ინფორმაციას იძლევა.

## ინტერპრეტაციული სქემა

როგორი ზედაპირულიც არ უნდა იყოს ინტერესი, რომელსაც ვაუღლებთ ასეთი ტექსტების მიმართ, როგორი შეზღუდულიც არ უნდა იყოს ის ცოდნა, რომელიც გავაჩნია ფურცელზე მოცემულ წინადადებებთან შედარებით, ის აზრი, რომელიც გამოგვაქვს მისი წაკითხვისას ძალზე შეზღუდული, ბუნდოვანი, ზოგერ მცდარიც კი არის. ჟან პიაჟეს (1967) მაგალითი მოყავს, რომ ბავშვმა ჯერ არ იცის ცახე ერთი მთვარეა თუ ის მთვარე რომელსაც ის ხედავს ყოველ დამე, ზომ არ არის სინამდვილეში სხვადასხვა მთვარეების თანმიმდევრობა. სამაგიეროდ, თუ იგი მრავალ ლოკოკინას წააწყდება სეირნობის დროს, მას არ ეცოდინება, რომ ეს ერთი და იგივე ლოკოკინა არაა. მაგრამ მალე ის მიხვდება, რომ ლოკოკინა ვერ გადაადგილდება ისევე სწრაფად როგორც თვითონ და ამდენად რომ მას არ შეუძლია წააწყდეს სეირნობისას ერთი და იგივე ლოკოკინას, მოკლედ, ის იწყებს აზროვნებას. ზრდასთან ერთად, მისი მსჯელობა გამდიდრდება შეძენილი გამოცდილებით, რომლებიც ქმნის მის ცოდნას, და თავის მხრივ, ეს ცოდნა მას დაეხმარება გაიგოს ის, რასაც ის აღიქვამს. ასეთივე რამ ხდება ენის მიმართ, რაც მთვარისა თუ ლოკოკინის შემთხვევაში. ჩვენ ვერ ვხდებით აღქმულ სიტყვებს, რადგანაც ჩვენ მათთან ვახდენთ არაენობრივი ცოდნის ასოცირებას.

თითოეულის ცოდნა ვარირებს მოცულობისა თუ სიღრმის მიხედვით. იგი არ მოიცავს ყოველთვის ცოდნის ერთი და იგივე სფეროებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ ხდება იმის აღქმა, რაც არ გვესმის, ანუ არ ხდება არც ასე და არც ისე ინტერპრეტირება. იმის რისი გაგებაც ვერ ხდება ბუნებრივად, არ აღიქმება გააზრებულად. ეს მოვლენა ჩნდება ყოველდღიურად გარე სამყაროსა და აღქმას შორის ურთიერთქმედების დროს. ადამიანის გონება ისეა მოწყობილი, რომ ის აღიქვამს მხოლოდ იმას, რაზეც შეუძლია იმსჯელოს. ზრდასრულების კონსტატაცია, იმის შესახებ, რომ რაც ყველაზე მარტივი, ყველაზე აშკარა გვეჩვენება, ეფუძნება დაკვირვების წინასწარ არსებულ სუბსტრატს, დელუქციას,

როულ და ნაკლებად აშკარა მსჯელობას. ეს სუბსტრატი მას საშუალებას აძლევს მოახდინოს თითოეული აქტის თვით სამეტყველო აქტის ჩათვლით კოორდინირება, კიბერნეტიკული თვისებების მიხედვით, რომლთაც ალბათ მისთვის შეუძლებელი იქნებოდა შეგნებულად ეფიქრა, რომ პერცეპცია არის უბრალო დაფიქსირება და დაგვეყვანა ზოგიერთი მოქმედება რეაქციის სქემიდან სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე (აღმგზნები სიგნალი-პასუხი). საჭირო იყო პიაჟეს აღეარებინა ინტერპრეტაციული სქემის არსებობა, რომელიც ჩართულია სუბიექტურ ინტერპრეტაციასა და რეაქციას შორის.

ამგვარად, აზრი არის გონებაში ენობრივი ფორმულირების რასაც ქაღალდზე ვხდევთ, და იმ ცოდნისა რაც გაგვანია კითხვის დროს, შეხვედრა.

### აღვადგინოთ ავტორის მიერ გამოხატული აზრი

თუკი ზოგადად პერცეფციის პლანში ინტერპრეტაცია გაუაზრებელი პროცესია, იგი გააზრებული ხდება მთარგმნელისათვის, რომელსაც სურს გაიგოს აზრი. ერთი ძირითადი პრობლემა, რაც მთარგმნელის წინაშე დგება, ნათქვამის საშუალებით იპოვოს ის აზრი, რომელიც ამოძრავებდა ავტორს, სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა გამოყოფს ენობრივი მნიშვნელობების საშუალებით, ის აზრი, რომელიც გადმოსაცემი ინფორმაციაა. შეიძლება ვთქვათ, რომ არსოდეს გვაქვს მარტო ერთი აზრი, თითოეული ავტორი თუ მკითხველი, არასოდეს ერთნაირად არ აღიქვამს ტექსტს. ასეთ რამეს ამბობს მეცნიერი ვალერი, როდესაც ის იხილავს კავშირს ავტორსა და მის ნაწარმოებს შორის: «არ არსებობს ტექსტის ჭეშმარიტი აზრი. არც ავტორისეული ავტორიტეტი. მან დაწერა ის რაც სურდა, რაც დაწერა ესაა. როდესაც ტექსტი გამოქვეყნდება, ტექსტი, აპარატივითაა, რომელსაც თითოეული მომხმარებელი იყენებს თავისი სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით: ის არაა დარწმუნებული, რომ ის ვინც ეს დანადგარი მოიგონა მას უკეთესად მოიხმარს, ვიდრე სხვა ვინმე».

ნათქვამისა და აზრის ასეთი არაადექვატურობა ისეთი არაფერიაა, რამაც შეიძლება უიმედობა გამოწვიოს. ადამიანი მანქანა არაა და მისი აზროვნება არ შეესაბამება ერთი ერთზე ენობრივ სტრუქტურებს; თუკი ავტორმა “იცის რისი გაკეთების სურვილიც ჰქონდა”, ის

შესძლებს ჭეშმარიტად შეაფასოს “რაც მან გააკეთა” მხოლოდ იმათი რეაქციით ვინც უკავშირებს ავტორის მიერ თქმულს საკუთარ ცოდნას.

იმისათვის, რომ ნათქვამის აზრი შეესაბამებოდეს ავტორის სურვილს, ავტორმა უნდა სათანადოდ შეაფასოს მკითხველის ცოდნა, ვისთვისაც არის განკუთვნილი მისი ნაწარმოები და ის რაც ავტორმა გამოხატა, უნდა იყოს იმის პროპორციული რაც უთქმელი დარჩა. აუცილებელია მკითხველმა იცოდეს, რომ ენობრივი ახსნა-განმარტება ინფორმაციის მხოლოდ ნაწილია. იქნება ეს საგაზეთო ინფორმაცია, ანდა ფილოსოფიური ესე, ის ცოდნა, რომელსაც ყოველთვის უკავშირებენ აღქმას, შეიძლება იყოს მიახლოებითი ან მცდარიც კი (იმ შემთხვევაში თუკი ცოდნა რომელსაც ვყვრდებით არაა საკმარისი), ყველაფერი რასაც ავტორი ამბობს ბუნდოვანია (თუკი მან არასაკმარისად გააკეთა თავისი ნააზრევის ანალიზი და არასთანადოდ შეაფასა ისინი ვისთვისაცაა დაწერილი მისი ნაწარმოები). თუკი ჩვეულებრივი კომუნიკაციის დროს, უმეტეს შემთხვევაში, შინაარის რეალიზება ხდება სპონტანურად, ნათქვამი შეესაბამება აზრს და მას მაშინვე ხვდებიან. როცა გაზეთს ვკითხულობთ გვესმის რაც წერია (უნდა აღინიშნოს, რომ იმას ვკითხულობთ, რისი გაგების უნარიც გაგვანია...). გვესმის ის არგუმენტები, რომლებსაც საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატები ტელევიზიაში წამოაყენებენ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. შეიძლება ვინმეს ვემზრობოდეთ, ან ვეწინააღმდეგებოდეთ, ვინმეზე ეჭვი გექონდეს მაქინაც იყოს თუ ორპირობაში, მაგრამ მაინც ვხვდებით. მარტივ სიტუაციაში დამეთანხმებით, რომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აზრი გაგებულ იქნა. დაუშვათ, რომ საუკუნეები, ან რამდენიმე კვირა გავიდა მას შემდეგ როცა დაიწერა ესა თუ ის სტატია და მერე მოხდა ამ სტატიის წაკითხვა, ანდა უფრო მეტიც, რაიმე ინფორმაციის მკითხველს სრულიად განსხვავებული კულტურა აქვს ვიდრე ავტორს. რა მოხდება მაშინ? ჩვეულებრივ როდესაც ვინმე საუბრობს ან წერს, მისი გაგება ადვილია. მეორე შემთხვევაში შეიძლება უამრავი აზრი გამოვიყოს, რაც სემანტიკური ანალიზით დასაშვებია. ვივარაუდოთ, რომ თუკი ასეთი სახით განვიხილავთ იურიდიულ ტექსტს, მოვახდენთ მის ჩვენეულ ინტერპრეტაციას, ამან შეიძლება გამოიწვიოს დავა ან გაუთავებელი პროცესები როგორი მონდომებითაც არ უნდა იქნას განხილული თითოეული ტერმინი.

შეუძლებელია ვიდავოთ იმის შესახებ თუ რომელია სწორი. თარგმანისათვის მნიშვნელოვანია ავტორის მიერ გამოთქმული აზრის

მიმართ ერთგულება. არ შეიძლება შევცვალოთ აზრი იმის გამო, რომ ის გაუგებარია ან სხვადასხვა ინტერესის გამო სხვა აზრი მივანიჭოთ ნათქვამს. მთარგმნელს თავისი მეთოდით სურს, გამორიცხოს ერთდროულად ძალზე მარტივი და აშკარად ტენდენციური ინტერპრეტაცია.

## ენის შესაძლებლობა და რეალიზაცია

მთარგმნელი ეძებს ავტორის მიერ გამოხატულ აზრს. მისი მეთოდი ტექსტის ახსნა და არა ენობრივი ანალიზი. მან უნდა გადმოსცეს აზრი სხვა ენით, რაც მოცემულია იმავე ენის შიგნით, იმათთვის, რომელთაც შესაბამისი ცოდნა აქვთ ამის გასაგებად. პრობლემა იგივე რჩება. ერთი ენის შიგნით, ფრაზების ციტირება, კონტექსტის გარეშე, ხდება ტენდენციური, რადგანაც ახალი კონტექსტში, რომელშიც მას მოათავსებენ, მან შესაძლოა იმისგან განსხვავებული ელფერი მიიღოს, ვიდრე ამის თქმა უნდა ავტორს. იზოლირებული წინადადებების თარგმნა ორაზროვნების საფრთხეს ქმნის. თუ ვთარგმნით ტექსტს თითოეული წინადადებით, სათარგმნი ენის შთაგონებით, ისე, რომ არ გავითვალისწინებთ მწერლის ნააზრევს, ამით ერთად მოვათავსებთ იზოლირებულ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც ცალკე აღებული შეესაბამება, როგორც ერთ ენას, ისე მეორეს, მაგრამ მათი ერთად განთავსებით ისინი შექმნიან ელემენტთა გროვას, რომელსაც არაბუნებრივი ფორმა ექნება, ვიდრე მას უნდა ჰქონოდა სათარგმნი ენაში. ასე რომ თითოეული ცალკე აღებული სიტყვა, თითოეული ფრაზა, რომელიც კონტექსტში არაა მოცემული, თითოეული არასრული გამონათქვამი, წარმოადგენს ვირტუალურ მნიშვნელობათა რაოდენობას რეალური აზრის გარეშე. სიტყვა, რომელიც კონტექსტის გარეშეა, არ გამოსცემს ინფორმაციას. იგი ჰკავს მონეტას, რომლის მატერიალიზება არ ხდება ყიდვისას. 50 ფრანკიანი ბანკნოტი დახარჯვამდე ისეთივე ნაყიდი ნივთია, როგორც საბაყლოში შექმნილი საქონელი, წიგნი ან რკინიგზის ბილეთი. მისი რეალიზება არის მხოლოდ ერთ-ერთი ამ უნართაგანი. 50ფრანკიანი ბილეთის ღირებულების ანალიზმა შეიძლება შორს წაგვიყვანოს, მაგრამ ის საშუალებას არ მოგვცემს წინასწარ განვსაზღვროთ თუ როგორ

გამოვიყენებთ მას. იგივე შეიძლება ვთქვათ ენის შესახებ თუკი ტექსტებს შევეუდარებთ. ენის ცოდნა თარგმნის აუცილებელი პირობაა.

მაგრამ ის ჯერ არ არის მისი რეალიზაცია. თარგმანს აინტერესებს მხოლოდ ენის გამოყენება. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან ერთ მაგალითს ვინეს და დარბელნეს(1966) წიგნიდან, რომელიც გვიჩვენებს, რომ ენობრივი ანალიზი, გამოყოფს ენის შესაძლებლობებს და ამავე დროს, აზრი არ გამომდინარეობს მარტო ენობრივი ახსნა—განმარტებიდან. ავტორები ამბობენ: “ყოყმანობენ თარგმნონ ინგლისური სიტყვა **hospital**, ფრანგული სიტყვა **h<sup>ô</sup>pital**-ით, ფრანგული ტერმინი რომელიც გამოიყენება ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულად უხერხულობას იწვევს თუ არ ვიტყვი, რომ ის მეტად ღარიბია. მაგალითად: “**I went to see him at the hospital**-თარგმნი იქნა ფრანგულად შემდეგნაირად: “**je suis allé le voir à sa clinique.**”-მე წავედი მის სანახავად კლინიკაში.

ენობრივი ანალიზი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ არ არსებობს გაუაზრებელი შესატყვისობა ანალოგიურ სიტყვებს **hospital** და **h<sup>ô</sup>pital**-ს შორის, მაგრამ აქ ჩვენ ეს როლი გვინტერესებს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ წინადადება, რომელიც აქ მოვიყვანეთ მაგალითად, იწვევს იდეების ასოციაციას და ამგვარად ახდენს აზრის ვარაუდის რეალიზებას. როდესაც მე წავიკითხე ინგლისური წინადადება, წარმოვიდგინე, რომ მივდივარ ავღმყოფი მეგობრის სანახავად. სამაგიეროდ ფრანგულ წინადადებაში, მე წააწყდი სიტყვას **sa**-მისი. ამგვარად შევიცვალე აზრი: აქ ალბათ ლაპარაკი უნდა იყოს ექიმზე და არა ავღმყოფზე, რადგან მის კლინიკაში შეიძლება ვნახოთ ექიმი, ან სანიტარი, ან ღირექტორი, ან დარაჯი, კიდევ ვინ იცის... და თუკი ჩვენთვის ცნობილია ის ამბავი, სადაც იქნა გამოყენებული ეს წინადადება, ჩვენ გავოცდებით, თუ რამდენად შორსაა მისი რეალური აზრი ყველა ამ ვარაუდისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც კი წინადადება ჩართულია კონტექსტში, შესაძლებელი ინტერ-პრეტაციის დიაპაზონი მცირდება. რადგანაც ავტორის მიერ გამოხატული აზრი ორაზროვანი არაა და ცდილობს თავი წარმოაჩინოს ისეთნაირად, რომ ის გასაგები გახდეს.